აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 1

2 მარტი 2010 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი გია გარსევანიშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, წარადგინა დღის წესრიგის პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დღის წესრიგში შეტანილი უნდა იქნა ცვლილება გამომდინარე იქედან, რომ როგორც კომისიისათვის ცნობილია უმაღლესმა საბჭომ 2010 წლის 29 იანვრის №65 დადგენილებით ვადამდე ადრე პირადი განცხადების საფუძველზე, უფლებამოსილება შეუწყვიტა კომისიის წევრს თამაზ შარმანაშვილს რომელიც კომისიის მიერ არჩეული იყო თავმჯდომარის მოადგილედ. ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, თავმჯომარის მოადგგილის ვაკანსიის წარმოქმის შემდეგ, კომისიამ პირველივე სხდომაზე უნდა აირჩიოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის ცვლილებით დამტკიცებასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის (ცვლილების) შენიშნვის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში დამატებების შეტანის შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

2. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

(მომხ. ქ. ჯიქია)

3. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 სექტემბრის №52 განკარგულებით დამტკიცებულ მივლინების ფორმაში ცვლილების შეტანის შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

4. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

(მომხს. ა. მიქელაძე)

1. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში განხორციელდა ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით ცვლილებები - კერძოდ, დაზუსტდა უსკო-ს აპარატის ზოგიერთი სამსახურების უფლება-მოვალეობები და სხვა ტექნიკური საკითხები. ასევე განიხილა და კომისიას გააცნო ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;

წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით (გაზეთი „აჭარა“ 23. 05. 2006 წ. №91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თავის საქმიანობაში იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა კანონებით, კანონქვემდებარე აქტებითა და ამ რეგლამენტით.“

2. მე-12 მუხლს „ა“ პუნქტის შემდეგ დაემატოს „ა^{1}“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა^{1}) ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ, მის კომპეტენციაში შემავალ წერილებსა და განცხადებებზე და წარუდგენს მათ კომისიის თავმჯდომარეს“.

3. მე-12 მუხლს „თ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს „თ^{1}“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ^{1}) ადგენს და ეკონომიკურ სამსახურს გადასცემს ინფორმაციას არჩევნების ჩასატარებლად საჭირო საარჩევნო ინვენტარისა და სხვადასხვა საარჩევნო დოკუმენტაციის რაოდენობის შესახებ;

4. მე-15 მუხლს „ა“ პუნქტის შემდეგ დაემატოს „ა[1]“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა[1]) ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ, მის კომპეტენციაში შემავალ წერილებსა და განცხადებებზე და წარუდგენს მათ კომისიის თავმჯდომარეს“.

მუხლი 2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა ქეთევან ჯიქიამ კომისიას წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულების თანახმად, ჩამოყალიბებული იქნა საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად ახალი წესები კერძოდ, აღნიშნული ბრძანებულებით განისაზღვრა კონკურსის ჩატარების პროცედურა, კონკურსის შედეგები, კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზანი და ა.შ. რის შემდეგაც სიტყვა გადასცა კომისიის აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსს ფრიდონ ბათნიძეს კომისიისათვის დეტალურად გაეცნო წარმოდგენილი ცვლილების შესახებ. იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდონ ბათნიძემ კომისიას დეტალურად (მუხლობრივად) გააცნო წარმოდგენილი ცვლილებისა და დამატებების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი)

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2006 წლის 30 მარტის №2/2006 დადგენილებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულებაში:

1. დებულების შესავალი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წინამდებარე დებულება შემუშავებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულების საფუძველზე და განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების წესსა და საკონკურსო კომისიის საქმიანობის პირობებს.“

2. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. კონკურსის მიზანი და ამოცანები

1. კონკურსის მიზანია უსკოს აპარატის მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნ მაღალკვალიფიციურ პირთა შერჩევა.
2. კონკურსის ამოცანებია:

ა) კანდიდატის კვალიფიკაციისა და პროფესიული დონის შეფასება:
ბ) კანდიდატის შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება:
გ) კანდიდატის კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრა.“

3. პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს 1^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„მუხლი 1^1. კონკურსის პრინციპები

კონკურსი იმართება ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის საფუძველზე.“

4. მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კონკურსს და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადებს აცხადებს უსკოს თავმჯდომარე კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულებითა და ამ დებულებით.“

5. მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით უსკოს თავმჯდომარის ბრძანებით იქმნება სამდივნო.
2. სამდივნო იქმნება უსკოს აპარატის თანამშრომლებისგან, რომელსაც ხელმძღვანელობს უსკოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირი.“

6. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.

7. მე-11 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს 1^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი პირი, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, წერილობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას, ხოლო უსკოს თავმჯდომარეს კომისიის მიერ წამოყენებული კანდიდატის ან კანდიდატის წამოყენებაზე უარის შესახებ.“

8. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.

9. მე-11 მუხლის შემდეგ დაემატოს 11^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11^1. საპრეტენზიო კომისია

1. კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებულ პრეტენზიების განხილვის მიზნით, უსკოს თავმჯდომარის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია.
2. საპრენტეზიო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს უსკოს თავმჯდომარე.
3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები.
4. საპრეტენზიო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე მისი არ ყოფნის შემთხვევაში საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კომისიის წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა.
6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში, განსხვავებული აზრი შეიძლება დაერთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
7. პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების გამოცხადების დღიდან არა უგვიანეს 2 დღისა. განცხადებას საპრეტენზიო კომისია განიხილავს განცხადების შეტანიდან 3 დღის ვადაში. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება

წარედგინება საკონკურსო კომისიას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.“

10. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ხელახალი კონკურსი ცხადდება კონკურსის გამოცხადების საერთო წესის შესაბამისად.“

11. 12^4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ სამსახურიდან განთავისუფლებულ მოხელეს სურს რეზერვში ჩარიცხვა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს უნდა დაერთოს მოხელის განცხადება რეზერვში ჩარიცხვის შესახებ“

მუხლი 2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 სექტემბრის №52 განკარგულებით დამტკიცებულ მივლინების ფორმაში ცვლილების შეტანის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 სექტემბის №52 განკარგულებით დამტკიცებულ მივლინების ფორმაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარკულების პროექტი და აღნიშნა, რომ უსკო-ს მიერ დამტკიცებულ მივლინების ფორმაში შეტანილი იქნა ტექნიკური (უმნიშვნელო) ცვლილება რის თანახმადაც დაზუსტდა და გამარტივდა მივლინების ფურცელის შევსების წესები.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე	5;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 სექტემბრის №52 განკარგულებით დამტკიცებულ მივლინების ფორმაში შეტანილი იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ მას შემდეგ როცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ უსკო-ს კომისიის წევრს თამაზ შარმანაშვილს პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყვიტა უფლებამოსილება (არჩეული იქნა ცესკო-ს წევრად) რომელიც უსკოს მიერ არჩეული იყო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ ასევე შეუწყდა მოადგილის უფლებამოსილებაც და წარმოიქმნა თავმჯდომარის მოადგილის ვაკანსია. ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, თავმჯომარის მოადგილის ვაკანსიის წარმოქმის შემდეგ, კომისიამ პირველივე სხდომაზე წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით კომისიის წევრთაგან უნდა აირჩიოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. ასევე აღნიშნა, რომ კანონის თანახმად, კომისის თავმჯდომარის მოადგილის დასახელების უფლება აქვს

კომისიის თავმჯდომარეს და კომისიას წარუდგინა კომისიის წევრის გია გარსევანიშვულის კანდიდატურა კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევასთან დაკავშირებით, ისაუბრა კანდიდატის პიროვნებაზე, საარჩევნო გამოცდილებებზე, პიროვნულ თვისებებზე, მის შრომისმოყვარეობაზე, პროფესიონალურობაზე და ა.შ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძე კენჭისყრაზე დააყენა წინადადება კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ გია გარსევანიშვილის არჩევის შესახებ

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

1. მიქელაძე არჩილ - მომხრე
2. ჯიქია ქეთევან - მომხრე
3. გარსევანისვილი გია - თავი შეიკავა
4. ხოზრევანიძე თამარ - მომხრე
5. ჩავლეიშვილი ასლან - მომხრე

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი)

კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება და უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნა გია გარსევანიშვილი.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. არჩეული იქნეს გია გარსევანიშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია